

საქართველოს მართმადიდებლური ეკლესიის შიში პლურალური საზოგადოების და დემოკრატიული სახელმწიფოს მიმართ

სოფო ზვიადაძე

შესავალი

საქართველოს მართმადიდებლური ეკლესიის საზოგადოებრივი დაპოლიტიკური როლი ერთერთი აქტუალური მსჯელობის საგანია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ „რელიგიის დაბრუნება“ გამოიხატებოდა როგორც ინდივიდუალური რელიგიურობის ზრდით, ასევე ინსტიტუციური რელიგიის, ეკლესიის ავტორიტეტის გაძლიერებით. ზოგადად, პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში, განსაკუთრებით, დამოუკიდებლობის შემდეგ პირველ ეტაპზე, ვარაუდობენ რომ რელიგიურობის აღმავლობა განპირობებული იყო „რელიგიის ახალი თავისუფლებით“, იდეოლოგიური ვაკუუმით¹. პოლიტიკური და სოციალური ტრანსფორმაციის სიძნელეებისა და კრიზისულობის განცადის ფონზე რელიგიის და რელიგიური ინსტიტუტის მნიშვნელობა უფრო გაიზარდა. რელიგიის მნიშვნელობის და რელიგიური ლიდერების ავტორიტეტის შენარჩუნებას ხელს უწყობდა რელიგიის ნაციონალურ-კულტურული მნიშვნელობა. საქართველოში და კულტურულ იდენტობის განსაზღვრაში რელიგიის მნიშვნელობა. დამოუკიდებლობის შემდეგ სმე ახალი ნაციონალური ნარატივის განსაზღვრაში ყველაზე ძლიერი აქტორი აღმოჩნდა. სუსტი სამოქალაქო ნაციონალური დისკურსის ფონზე ეკლესია ხდება ეთნიკური ნაციონალიზმის მთავარი დასაყრდენი ინსტიტუტი². ექსკლუზივისტური ეთნიკური და რელიგიური

¹ Pollack, Detlef: “Religiousness Inside and Outside the Church in Selected Post-Communist. Countries of Central and Eastern Europe”, *Social Compass* 50, (2003), 321-34.

² Zedania, Giga: Question of National Identity, *Solidarity* #.4 (37), (2010), Zedania, Giga: “Nationalismus und Religion in Georgien”, *Religion und Gesellschaft in Ost und West*, 6. (2011), 16-19.

ნაციონალიზმის იდეა კი ვერ იქნებ საზოგადოების კონსოლიდაციის ხელშემწყობი, განსაკუთრებით, მულტირელიგიურ და მულტიეთნიკურ ქართულ საზოგადოებაში.

რელიგიურიზმს და ნაციონალიზმის გადაჯაჭვულობის და რიგი კულტურული თავისებურების გამო მკვლევარებს ნაკლებად სავარაოდოდ მიაჩნიათ სეკულარიზმის დასავალური მოდელის განხორციელება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.³ თუმცა რელიგიის სოციოლოგების დიდი ნაწილი ვარაუდობს, რომ მოდერნიზაციის და სეკულარიზმის ახალი ტალღა პოსტკომუნისტურ ქვეყნებს ჯერ წინ აქვთ და ეს ტრენდი შექმნის რელიგიის ისეთსავე მდგომარეობას, როგორც არის ან იყო დასავლეთი ევროპის ქვეყნებში⁴

დღეს რელიგიის და ეკლესიის როლის გაძლიერება საზოგადოებაში უფრო თავისებურებებით გამოირჩევა და მეტნაკლებად განსხვავდება აღ.ევროპის სხვა ქვეყნების განვითარებისგან. დამოუკიდებლობიდან დღემდე რამდენიმე სურათი აღბეჭდავს ეკლესიის, სახელმწიფოს და საზოგადოების ურთიერთობას: რელიგიის თემის ტაბუიზირება საზოგადოებაში, პატრიარქის ავტორიტეტის ზრდა⁵, ეკლესიის და სახელმწიფოს ფორმალური და არაფორმალური „სიახლოვე“, ეკლესიის დიდი ზეგავლენა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ დისკურზე, პოლიტიკოსების სწრაფვა ეკლესიის და პატრიარქის მიმართ ლოიალობით, პოლიტიკური ლეგიტიმაციის მოპოვონ, ეკლესიის დაფინანსების გაუმჭვირვალე პროცესი და ა.შ.

როგორია ამ ტენდენციების ფონზე ეკლესიის დამოკიდებულება პლურალიზმის, ადამიანის უფლებების, სახელმწიფოს სეკულარიზმის პრინციპის მიმართ? რამდენად თანხვედრაშია ეკლესიის ოფიციალური პოზიცია და ეკლესიის საზოგადოებრივი როლი? ამ სტატიის მიზანია 2016-2017 წლებში საქართველოს მართმადიდებლური ეკლესიის, პატრიარქის და გავლენიანი სასულიერო პირების ადამიანის უფლებების, პლურალიზმის, დემოკრატიის მიმართ

³ Norris, Pippa/Inglehart, Ronald: *Sacred and Secular. Religion and Politics Worldwide*. (Cambridge: Cambridge University Press, 2004).

⁴ Bruce, Steve: *Politics and Religion*, (Cambridge: Polity, 2003), Spohn, Willfried: “Europeanization, Religion and Collective Identities. A Multiple Modernities Perspective”, *European Journal of Social Theory* 12 (3), (2009), 358-74, Pollack 2003

⁵ კვლევები აჩვენებს რომ საქ.მართ.ეკლესია საზოგადოებრივ ინსტიტუტებში ყველაზე მეტი ნდობით სარგებლობს (86%), ხოლო პატრიარქი ყველაზე მეტი ნდობით აღსავსე საზოგადოებრივი პირი (90%). „Public attitudes towards elections in Georgia: Results of an April 2010” National Democracy Institute (NDI) http://www.ndi.org/files/Georgia_Public_Opinion_0410.pdf

განცხადებების მიმოხილვა და მათი შეფასება. დამოკიდებულების რა დინამიკას და რა სამომავლო განვითარების ტენდენციებს გვიჩვენებს ეკლესიის ოპფიციალური პოზიცია ზემოთაღნიშნულ საკითხებზე.

სტატია ეფუძნება სმე-ის ოფიციალურ განცხადებებს, პატრიარქის ქადაგებებს და სასულიერო პირების ოფიციალურ განცხადებებს, მათშორის სოციალურ ქსელში საჯაროდ გავრცელებულ მიმართვებს.

წინამდებარე სტატია მიმოხილავს მხოლოდ 2016-2017 წლების მოვლენებს და განცხადებებს, ეკლესიის როლის იდეოლოგიური საფუძველის და მისი საზოგადოებრივი როლის შესწავლა მოითხოვს საკითხის უფრო ხანგრძლივ პერიოდის გაანალიზებას.

ეკლესია, ადამიანის უფლებები, პლურალიზმი

პოსტ-კომუნისტურ საქართველოში ეკლესიისთვის ყველაზე დიდი გამოწვევა რელიგიური პლურალიზმი იყო და არის. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მართმადიდებლური ეკლესია როგორც საჯაროს სამართლის იურდიული პირი მთელი რიგი პრივილეგიებით სარგებლობს, წლების მანძელზე ეკლესიის დისკურსში სხვა რელიგიების მიმართ შიში და მიუღებლობა ჩანდა. ამის პარალელურად საზოგადოებაში ძლიერდებოდა. ეკლესიის მიერ რელიგიის თავისუფლების, პლურალიზმის არაღიარებას 90-იანი წლებიდან დღემდე განსხვავებული დინამიკა ჰქონდა. 90იან წლებში პატრიქი და სასულიერო პირები ხშირად საუბრობენ იეჰოვას მოწმეებზე, პროტესტანტულ დენომინაციებზე, როგორც საფრთხეზე და უცხოეთიდან დაფინანსებულ არასნდო ორგანიზაციებზე. ამ პერიოდში ეკლესიაში და საზოგადოებაში ყველაზე ძლიერი იყო ქსენოფობია და რადიკალიზმი.⁶ ეკლესიის დისკურსი და რელიგიური რადიკალიზმის დინამიკა იცვლებოდა წლების განმავლობაში. მასზე ზეგავლენას ახდენდა, სახელმწიფო პოლიტიკა, საზოგადოებრივი განვითარება და სხვა სოციო-კულტურული ფაქტორები. ვარდების რევოლუციის შემდეგ სახელმწიფოს პოლიტიკაში გამოიკვეთა რელიგიური პლურალიზმის, რელიგიურ რადიკალიზმთან ბრძოლის, რელიგიის თავისუფლების დაცვის პრიორიტეტი. პოლიტიკურ დისკურსში ქვეყნის ევროპული კურსი იყო ღიად გაცხადებული და უალტერნატივო. ამ პერიოდში პატრიარქის და სასულიერო პირების ქადაგებები უფრო ორაზროვანია და საუბარია ევროპაზე

⁶ 1997 წელს სმე დატოვა ეკლესიათა მსოფლიო საბჭო

არა როგორც საფრთხეზე, არამედ ევროპის, დემოკრატიის და ლიბერალიზმის ამბივალენტობაზე. ამით თვალს უსწორებს ეკლესია ახალ სინამდვილეს, მაგრამ ეს არ არის ინსტიტუციური ან თეოლოგიური გადააზრების აუცილებლობის დანახვა. ეკლესია პრაგმატულად აფასებს ახალ პოლიტიკურ სიტუაციას, „დაჩქარებულ მოდერნიზაციას“ და ის ცდილობს ისარგებლოს ამით. რამდენადაც პარადოქსული არ უნდა იყოს, ამ პერიოდში ეკლესიის გავლენა და ეკონომიკური მდგომარეობა ყველაზე მეტად გაზლიერდა. მიუხედავად იმისა რომ ახალი პოლიტიკური რეჟიმი სეკულარული სახელმწიფოს მშენებლობაზე ახადებადა პრეტენზიას, სახელმწიფოს და ეკლესიის გამიჯვნა ისევ პრობლემატური დარჩა. ამის მიზეზი იყო ერთი მხრივ საზოგადოებაში „არაქრისტიანად და არაქართველად“ გამოჩენის შიში, მეორე მხრივ სუსტი პოლიტიკური ლეგიტიმაცია და მუდმივად ძალაუფლების დაკარგვის რისკვის ქვეშ ყოფნა. ყველაზე სტაბილური ინსტრუქტი, რომელსაც საზოგადოება მხარს უჭერდა იყო ეკლესია და პატრიარქი, ამიტომ აქ ეძიებდა ყველა პოლიტიკური ძალა თავის მოკავშირეს. ამიტომ 90-იან წლების რადიკალიზმი შეცვალა ეკლესიის არაფორმალურმა გავლენამ გადაწყვეტილების მიღებაზე.

საზოგადოებრივმა განვითარებამ და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხში სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურებამ ახალი გადასაჭრელი ბრობლემები გამოააშკარავა. „17 მაისი“ თანამედროვე საქართველოში მრავლისმთქმელი სიტყვაა. იგი სიმბოლურად გამხოატავს რელიგიური რადიკალიზმის, ადამიანის უფლებების და ზოგადად საზოგადოების რელიგიური და პოლიტიკური კულტურის პრობლემატიკას. 2013 წლის 17 მაისს ოცამდე სამოქალაქო აქტვისტმა აქცია გამართა ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად. იმავე დღეს აქციაზე ათასობით მოწინააღმდეგე ე.წ. ა შეიკრიბა და შეეცადა ჩაეშალა აქცია. ამ უკანასკნელთა შორის იყვენენენ მართმადიდებელი მღვდლები. მოწინააღმდეგეები გამოვიდნენ არამხოლოდ ლოზუნგებით, არამედ ფიზიკურად გასუწორდნენ მათ. განრისხებული და მოძალადე ახალგაზრდების. სამღვდელოების სურათებმა, რომლებიც უსწორდებიან ადამიანის უფლებადამცველებს, მოიარა ნაციონალური და საერთაშორისო პრესა. ეკლესიის ოფიციალურ განცხადებებში აქციის დაგმობამ მრავალი ახალგაზრდა წაახალისა მისულიყო 17 მაისს ე.წ. ანტი-გეი აქციაზე⁷. ამ მოვლენების პასუხად სმე 2014 წელს 17 მაისი „ოჯახის სიწმინდის დღედ“ გამოცხადა, რომელსაც ეკლესია

⁷ ამ მოვლენების პასუხად სმე 2014 წელს 17 მაისი „ოჯახის სიწმინდის დღედ“ გამოცხადა.

ყოველიუარდ აღნიშნავს.⁸ ამ დღეს ეკლესია ეხმიანება როგორც ჰომოსექსუალიზმის ასევე ოჯახის თემას. 2017 წელს სმე აღნიშნა „ოჯახის სიწმინდის დღის“ აღსანიშნავად აქციაში მონაწილეობად რადიკალური ორგანიზაცია „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“. მისმა წევრმა მღვდელმა დავით ქვლივიძემ განაცხადა, რომ ის ადამიანები, რომლებიც ჰომოფობიის წინააღმდეგ აქციას მართავენ, მის რელიგიას შეურაცხყოფენ. ჰომოსექსუალიზმის მიმართ ეკლესიის წარმომადგენლების დამოკიდებულება ერთგვაროვანია, ამის მიზეზია ტრადიციულ შეხედულებებთან ერთად რელიგიის დოგმატური შეხედულება. ოჯახში ძალადობის შედეგად ქალთა მკვლელობების რიცხვი საგანგაშოდ მიაჩნიათ ექსპერტებს.⁹ ქალის არჩევანის თავისუფლების შეზღუდვას, მის დაუცველობას განაპირობებს გარკვეული ტრადიციული-პატრიარქალური შეხედულებები. ამ კონტექსტში პრობელმატურია სასულიერო პირების მხრიდან ქალსა და მამაკაცს შორის იერარქიულობაზე საუბარი. მაგ პატრიარქ ილია II 2017 წლის 17 მაისს ქადაგებაში ამბობს: „ოჯახში (უფროს-უმცროსობა) დაცული უნდა იყოს და მისი თავი უნდა იყოს ქმარი, როგორც ამას უფალი ბრძანებს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი რაიმეთია უპირატესი, არამედ მას მეტი პასუხისმგებლობა აქვს და ევალემა მზრუნველობა და დაცვა ოჯახისა“¹⁰ ზოგადად რელიგია და ტრადიციული ოჯახის მოდელი, როდესაც ქალის მთავარი დანიშნულება არის შვილებზე, ქმარზე, ოჯახზე ზრუნვა. ამ შეხედულებას აძლიერებს ეკლესია. რადიკალურად და კონსერვატულად განწყობილი სასულიერო პირები¹¹ უფრო შორს მიდიან და აკრიტიკებენ ქალთა უფლებადამცველებს, მათ მოიხსენებენ როგორც „ტრადიციული ქართული ოჯახის“ მტრად.¹²

როგორც ჰომოსექსუალიზმის ასევე ოჯახის თემის მიმართ ეკლესიის დამოკიდებულებაში არ არის გამოხატული ის კონტექსტი და ის პასუხისმგებლობა, რაც ამ თემაზე მსჯელობას უნდა

⁸ Patriarchate of GOC: “Infringing sacredness of family and declaring unnatural and pervert relations as natural is completely unacceptable for the majority of population of Georgia, regardless of religion. Of course it is also unacceptable for the Georgian Orthodox Church. But it does not mean that the Church fights against those, who are damaged with this sin. On the contrary, it is taking care for them and is directing efforts to correct them.”, “'Family Day', Rally Against Gay 'Propaganda' Planned for May 17”, Civil Georgia, Tbilisi, 16 May, 2014, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=27237>

⁹ ძალადობის მოტივი ხშირად არის ქალის არჩევანი, გაეყაროს მეუღლეს, დამოუკიდებლად ან სხვა პარტნიორთან იცხოვროს.

¹⁰ „როგორი უნდა იყოს ბედნიერი ოჯახი - რჩევები პატრიარქისგან“, *ლიბერალი*, 17.05.2017, <http://liberali.ge/news/view/29385/rogori-unda-iyos-bednieri-ojakhi--rchevebi-patriarqisgan>

¹¹ ასეთი სასულიერო პირები გაერთიანებული არიან რადიკალურ ჯგუფში „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“

¹² „ქალთა უფლებები საქართველოში – დეკანოზი დავით ქვლივიძე“, <http://zneoba.ge/4378>

ახლდეს. 2013 17 მაისის აქციის დარბევის, ჰომოსექსუალების მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების, ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების ფონზე, ეკლესიის პოზიცია ასეთი ტენდენციის ხელისშემწყობი უფრო არის ვიდრე მისი შემაკავებელი.

ერთ-ერთი ახალი დაძაბულობის ველია - ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საკითხი. მეჩეთის მოწინააღმდეგების მრავალ არგუმენტში ერთ-ერთი რელიგიური მოტივია, „ეს ქრისტიანული სახელმწიფოა და აქ მეჩეთი არ უნდა იყოს“. ამ აზრს მხარს უჭერს ეკლესია და ადგილობრივი სამღვდელთა კონფერენცია.¹³

2017 წლის მარტში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა საპატრიარქოში მიიღო შიით სასულიერო პირთა დელეგაცია ირანიდან, რომელსაც ხელმძღვანელობდა აიათოლა ქამეხსედიგი, თეირანის სულიერი ლიდერი. კრიტიკან და მუსლიმ მრევლს შორის გაუცხოების ფონზე, ასეთი საერთაშორისო კავშირები და „ღიაობა“ გარეგნულ ტოლერანტობად ან პროტოკოლის ნაწილად უნდა მივიჩნიოთ.

საქართველოს მართმადიდებელი ეკლესია და სეკულარიზმი

სეკულარიზმის პარადიგმა დღეს რამდენიმე სკოლას აერთიანებს, დაწყებული მისი როგორც გარდაუვალი ტრენდის მოლოდინით, დამთავრებული მისი მხოლოდ დასვლეთ ევროპული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი განვითარების მოდელით აღიარებით. დღეს თეორეტიკოსები თანხმდებიან, რელიგია დაბრუნდა თანამედროვე საზოგადოებაში და როგორც პიტერ ლ. ბერგერი აღნიშნავს, ახლანდელი დრო უფრო რელიგიურია ვიდრე ოდესმე ყოფილა.¹⁴ რელიგია ახალი სახით ბრუნდება სეკულარულ საზოგადოებაში, ამიტომ ბერგერი ამ ეპოქალურ ცვლილებას დესეკულარიზმს უწოდებს.¹⁵ არის კი ბერგერისეული დესეკულარიზმი ის მოდელი, რომელიც საქართველოში განვითარდა დამოუკიდებლობის შემდეგ, არის ეს სეკულარული, დიფერენცირებული, პლურალისტური საზოგადოებაში რელიგიის დაბრუნება? სმე საბჭოთა მებრძოლი სეკულარიზმის ხელახლა „დაიბადა“ რელიგიური რენესანსის ახალ ეპოქაში. დღეს საქართველოში რელიგიური ველის ცვლილება გამოხატება როგორც საერთო ტრენდისთვის დამახასიათებელი ნიშნებით, ასევე უშუალოდ აქ

¹³ „საპატრიარქო ბათუმში აზიზებს მეჩეთის აშენებას ეწინააღმდეგება“, *ტაბულა*, 9.02. 2012, <http://www.tabula.ge/ge/story/57894-sapatrario-batumshi-azizes-mechetis-ashenebas-etsinaaghmdegeba>

¹⁴ Berger, Piter L.: *The Desecularization of the World. A Global Overview*, in: Berger PL (ed.), *The Desecularization of the World: Resurgent Religion and World Politics*, Washington, DC, 1999, 1-18

¹⁵ Berger, 1999

განვითარებული ტენდენციებით. პირველ რიგში, ეს არის ეკლესიის და სახელმწიფოს, პოლიტიკის და რელიგიის გამიჯვნის პრობლემატიკა. სეკულარიზმის ყველაზე რევიზიონისტული მოდელიც ინარჩუნებს სეკულარული სახელმწიფოს ორ მოთხოვნას: რელიგიის თავისუფლების დაცვის და სახელმწიფოს ნეიტრალობის პრინციპის დაცვას. უფრო ფართოდ დავინახავთ სეკულარიზმის პროცესს, აქ მკვლავერი სამი ასპექტს გამოყოფენ: ა) სახელმწიფოს და ეკლესიის გამიჯვნას, ბ) რელიგიური სფეროს გამოყოფას სხვა სფეროებისგან და მისი ზეგავლენის შემცირებას სხვა საზოგადოებრივ სფეროზე, გ) რელიგიის პრივატიზაციას, როდესაც ინსტიტუციური რელიგია კარგავს თავის მნიშვნელობას და რელიგია ინდივიდის პირადი საქმე, სულ უფრო მეტად ინდივიდუალური ხდება. მიუხედავად იმისა რომ კონსტიტუციის მიხედვით, ეკლესია და სახელმწიფო გამიჯნულია, ზემოთჩამოთვლილი სეკულარიზმის ასპექტები მიხედვით საქართველო სეკულარიზაციის პროცესი სუსტია: ეკლესია, პატრიარქი პოლიტიკური ლეგიტიმაციის წყაროა, ეკლესიას ზეგავლენა აქვს თითქმის ყველა საზოგადოებრივ სფეროზე, საჯარო სივრცე გაჯერებულია რელიგიური სიმბოლოებით, მოსახლეობაში მაღალია რელიგიის მნიშვნელობა ყოველდღიურ ცხოვრებაში. პრობლემურობა არა მოსახლეობის რელიგიურობა, არამედ ინსტიტუციური რელიგიის პოლიტიკური ძალაუფლება, რამდენად აღიარებს ეკლესია გარკვეულ სფეროებში საერო ხელისუფლების ავტონომიას.

საბჭოთა სისტემიდან ახალ პოლიტიკურ სისტემაზე გადასვლამ ეკლესია გაათავისუფლა სახელმწიფო საბჭოთა კონტროლისგან, მაგრამ ახალი თავისუფლებამ, პოლიტიკური ინსტიტუციების სისტემ, საერთო საზოგადოებრივმა კრიზუსლმა ფონმა ეკლესიის მნიშვნელობა გაზარდა. დროთა განმავლობაში ეკლესია როგორც ყველაზე მაღალი ნდობის და ავტორიტეტის მქონე ინსტიტუცია პოლიტიკურ სფეროშიც მნიშვნელოვანი აქტორი გახადა.

იცვლება თუ არა ეს სურათი დროთა განმავლობაში? საზოგადოებაში დებატებში ეკლესიის დაფინანსების სისტემის, ეკლესიის საზოგადოებრივი როლის კრიტიკის „გაბედვა“, უკვე მიანიშნებს რომ რელიგიის თემა აღარ არის ტაბუზირებული. ამ ყოველივემ რელიგიაზე, ეკლესიაზე საუბარი უფრო პლურალისტური გახადა. ჩანს თუ არა ასეთი ცვლილება საეკლესიო დისკურსში?

2017 წელს ერთ-ერთ საკვირაო ქადაგებაში პატრიარქმა ილია მეორემ კონსტიტუციურ მონარქიის შესახებ ისაუბრა და რამდენიმე ხნით ისევ დაბრუნდა ეს თემა საზოგადოებრივ

დისკუსიებში. პატრიარქმა განაცხადა, რომ კონსტიტუციურ მონარქიას ქვეყანაში სიმშვიდე შემოაქვს და საქართველოში, როგორც უძველესი კულტურის ქვეყანაში, შეიძლება სამომავლოდ ხალხს ეფიქრა მონარქიის აღდგენაზე, რადგან „საქართველო არის უძველესი მონარქია. ღვთის წყალობით მეფე გვამრთავდა.“¹⁶ პატრიარქის ამ ქადაგებას ფართო გამოხმაურება მოჰყვა მედიაში და სოციალურ ქსელში. წინა წლების დისკუსიებთან შედარებით, მონარქიის იდეა უფრო მეტმა ადამიანმა გააკრიტიკა. როგორც წესი სასულიერო პირები მონარქიის აღდგენის იდეას უჭერენ მხარს. მაგალითად, არქიმანდრიტი იოვანე მჭედლიშვილმა 18 ივნისს სოციალურ ქსელში საკთარ გვერდზე დაწერა, რომ „რუსეთის იმპერიამ ორი საუკუნის განმავლობაში მიიტაცა ჩვენი სამშობლო. დაიმონა, დაჩაგრა და სიცოცხლე მოუსპო საქართველოში მცხოვრებ მილიონობით გლეხს თუ დუდებულს. მიიტაცა დედა ეკლესია. წაგვართვა იმის უფლება რომ გვეყოლოდა ერის მამები პატრიარქები და მათ ნაცვლად ეზარხოსები დანიშნა. წაგვართვა მირონცხებულ მეფეთა ინსტიტუტი რომლის გადაგდება თუ გაუქმება ქართველ კაცს აზრადაც არასდროს მოსვლია. პირიქით მათ სახელს ფიცულობდა ერი. ახლა როდესაც ქვეყანა დავიბრუნეთ და დამოუკიდებელი გვქვია. დავიბრუნეთ ეკლესია და პატრიარქობის ინსტიტუტი. დავიბრუნეთ ენა რომელიც კინადამ გაგვიუქმეს. ისტორიული სამართლიანობა მოითხოვს რომ დავიბრუნოთ ბაგრატიონთა ტახტიც რომელიც ასევე წაგვართვის და გაგვინადგურეს. შემდეგ კი თავად ერმა გადავწყვიტოთ გვინდა თუ არა მომავალში კონსტიტუციური მონარქია. როგორც იოანეს სახარებაში გვიწერია თანამედროვე ქართულით რომ ვთქვათ ნუ იქნებით მიკერძოებულნი არამედ იყავით სამართლიანნი.“

ტრადიციულად ეკლესია როგორც კათოლიკური ასევე მართმადიდებლური, მონარქიის იდეის მხარდამჭერია. ამის საფუძველი ქრისტიანული პოლიტიკური თეოლოგია. პრემოდორნული საზოგადოებაში სამეფო ხელისუფლების წყაროდ ღმერთი მიიჩნეოდა და მეფე კი - ღმერთისგან მირონცხებულად. ეკლესია ამ შეხედულების ლეგიტიმაციის წყარო და მისი დამცველიც იყო¹⁷. ამ იდეის რადიკალური ცვლილებით იბადება დემოკრატიული საერო

¹⁶ <http://patriarchate.ge/geo/ka/>

¹⁷ ქრისტიანობა და საქართველოს მართმადიდებლური ეკლესია განუყოფელია მონარქის ინსტიტუტთან შუასაუკუნეებში. ტრადიციულ ქრისტიანულ გაგებას ღმერთისგან ხელდასხმული მეფის შესახებ, საქართველოში აძლიერებდა პოლიტიკური მითი ქართველთა სამეფო საგვარეულო დინასტიის დავით წინასწარმეტყველთან კავშირის შესახებ. სამეფო დინასტიის უშუალოდ ქრისტესთან „ნათესაობა“ წარმოდგენა უფრო ძლიერი ლეგიტიმაციის წყარო იყო, ვიდრე ადმოსავლურ პოლიტიკური თეოლოგიაში არსებული სიმფონიის მოდელი. იუსტინიანე I-ის იმპერატორის და პატრიარქის სიმფონიური მმართველობის იდეა, რეალობაში ძნელი განსახორციელებელი იყო. ისევე როგორც ბიზანტიაში, საქართველოშიც არ ყოფილა სრულყოფილი სიმფონიის მოდელი. ძლიერი მეფის

სახელმწიფოები, კერძოდ სახელმწიფო (რესპუბლიკა), რომლის ლეგიტიმაციის წყარო ხალხია. მაგრამ მე-19 საუკუნეში ევროპის სახელმწიფოებში კლერიკალების და ანტიკლერიკალების დაპირისპირება, ეკლესიების მიერ მონარქის მხარდაჭერა იყო უკანასკნელი მცდელობა შეენარჩუნებინათ ancient regime და წარმოადგენდა სრულიად სხვა ისტორიული მოცემულობას, ვიდრე დღეს ეკლესიის მიერ მონარქიის იდეის გაქდერება. მონარქის იდეა დღე არის პოლიტიკურ სფეროში ეკლესიის მიერ უფრო ლეგიტიმური მმართველის გაჩენის სურვილი, რომელიც უპირობოდ და უკრიტიკოდ უნდა იყოს მიღებული როგორც „ღვთისგანმირონცხებული“. ეკლესიის ამ იდეაში უფრო პრაგმატიზმი შეიძლება ამოვიკითხოთ, ვიდრე თეოლოგიური ან „ისტორიული კანონიერების“ აღსრულება.

მონარქიის შესახებ დებატებში სიახლეა ის ფაქტი, რომ თავად სასულიერო პირებში გამოჩნდა რამდენიმე მღვდელი, რომლებიც არ თვლიან რომ მონარქია მმართველობის საუკეთესო ფორმაა და ერის აუცილებელი ვალდებულება „აღადგონოს მონარქია“. დეკანოზ ილია ჭილაძეს აზრით, კონსტიტუციური მონარქია გულისხმობს ფიქტიურ მეფეს, რომელიც არ მართავს და ბუტაფორიაა, შესაბამისად არ დგას მისი საჭიროება. ის აბსოლუტურ მონარქიას დიქტატურას ადარებს, რომლის ადგილიც 21-ე საუკუნეში არ არის. მღვდელი ილია ჭილაძე 23 ივნისს სოციალურ ქსელში წერს: „სწორედ ეს ვერ გამოვიმუშავეთ ქართველებმა და თვალვხრებდათ ხრილივით მიმოვედებით ყველაფერს, კონსტიტუციას ლამის ყოველ წელს ცვვლით: ხან საპრეზიდენტო ქვეყანა ვართ, ხან ნახევრად საპრეზიდენტო, ხან პარლამენტური, ხან მონარქისტობას ვთამაშობთ. გვეყო ამდენი თამაში... საცოდავი ჩვენი ხალხი, გაჭირვებული, უყველაფრო, უსამსახურო, რა დროს მეფობანაა?! კიდევ ერთი პომპეზური, ფუფუნების და ნეპოტიზმის ინსტიტუცია მოვიგონოთ რისთვის, ეს რას მისცემს ხალხს?!“¹⁸

2016 - 2017 წელს რამდენიმე საკითხი მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში: ახალ კონსტიტუციაში განსაზღვრულიყო თუ არა „ოჯახის“ ცნება, როგორც მამაკაცისა და ქალის ერთობა¹⁹ და უნდა აკრძალულიყო თუ არა მიწის უცხოელებისთვის მიყიდვა. ოჯახის ცნების

დრო საერო ხელისუფალი ცდილობდა ეკლესიის კონტროლს და მის დაქვემდებარებას. ისევე როგორც სუსტი მეფეების საეკლესიო პირებს აქვთ უპირატესობა „სამეფო კარზე გამართულ ბრძოლებში“.

¹⁸<http://www.tabula.ge/ge/verbatim/121251-mama-ilia-xalxi-gachirvebuli-ukvelafro-da-usamsaxuroa-ra-dros-mefobanaa>

¹⁹ დღემდე ქორწინებას ქართულ კანონმდებლობაში განმარტავდა სამოქალაქო კოდექსი, რომელიც ამბობს, რომ ეს არის ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით. რაც შეეხება ოჯახის განმარტებას, კანონმდებლობა არ იცნობდა ასეთ განმარტებას.

განმარტებას მოთხოვნის უკან დგას ჰომოსექსუალთა ქორწინების აკრძალვისთვის წინასწარ საკონონმდებლო ბაზის მომზადების მცდელობა.²⁰ საკონსტიტუციო ცვლილებით ჩანს ასევე საზოგადოებაში. ამ საკითხების აქტუალიზაციასთან ერთად საზოგადოებრივი დებატების დროს უფრო გამოიკვეთა ჰომოფობიურად და ქსენოფობიურად განწყობილი ჯგუფები.

ეკლესია ორივე თემას გამოეხმაურა ეკლესია. როგორც წესი, ეკლესია ოჯახის როგორც ქალის და მამაკაცის ერთობის, ტარდიციული ღირებულების დამცველია. ბოლო წლებში ოჯახის თემა უფრო აქტუალური გახდა საეკლესიო დისკურსში. ამ გააქტიურების კონკრეტული თარიღიც შეიძლება დავასახელოთ - 2013 წლის 17 მაისი. ლგბტ თემის ხილვადობის, მათი უფლებების დაცვის თემასთან ერთად გაიზარდა ეკლესიის მხრიდან „ოჯახის სიწმინდეზე“ საუბარი. სმე ტრადიცია დგას ღირებულებზე, რომლის საფუძველი შეიძლება იყოს როგორც რელიგიური დოგმატური შეხედულება, ასევე საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული კულტურული ტრადიცია. პრობლემურია ის რომ, ეს ტრადიციული შეხედულებები არ ტოვებს თავისუფალ სივრცეს განსხვავებული აზრისთვის და რელიგიურ/ეკლესიის შეხედულებას გამოდის მონოპოლიური. ისევე როგორ ქორწინების თემას, ასევე „მიწების გასხვისების“ თემას, როგორც ამ საკითხს ხშირად მოიხსენებენ, სასულიერო პირებში ჰქონდა გამოხმაურება. საქმე ეხება 2017 წლის 30 მაისს, საპარლამენტო უმრავლესობის, ქართული ოცნების საკანონმდებლო ინიციატივას, რომლის მიხედვითაც იკრძალება საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიყიდვა.²¹ ჯერ კიდევ 2014 წელს განაცხადა პატრიარქმა ილია მეორემ, რომ უცხოური კაპიტალის, თანამედროვე ტექნოლოგიების დამკვიდრება მისასაღმებელია, მაგრამ პროცესი უმართავი არ უნდა გახდეს და „არ უნდა განაპირობოს ყველაზე დიდი მატერიალური სიმდიდრის, ჩვენი მიწა-წყლის დაკარგვა და ჩვენი მოქალაქეების მხოლოდ მოსამსახურე პერსონალად

²⁰ კონსტიტუციაში ქორწინების ცნების დაკონკრეტდა. რომლის მიხედვით, ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. კერძოდ, ცვლილება შედის კონსტიტუციის 36-ე მუხლში, რომლის 1-ლი პუნქტი შემდეგი სახით ჩამოყალიბდება: ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით მამაკაცისა და ქალის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობას.

²¹ უცხოელებისთვის მიწის ფლობაზე მორატორიუმში 2013 წლის ივლისში ამოქმედდა. უცხო ქვეყნის მოქალაქეებს მიწის საკუთრების უფლების მოპოვება 2014 წლის 31 დეკემბრამდე შეუზღუდათ. მოგვიანებით საკონსტიტუციო სასამართლომ უცხო ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენაზე დაწესებული დროებითი აკრძალვა გააუქმა.

გადაქცევა.“²² 2017 წელს ეს თემა ისევ გახდა პოლიტიკაში განხილვის საგანი. სრულიად საქართველოს გვარის წინანძღოლთა დარბაზის სხდომაზე კათოლიკოს-პატრიარქმა „მიწების გასხვისების“ თემაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ „არსებობს ისეთი ფასეულობები, რომლის გაყიდვაც დაუშვებელია და არავის უნდა ჰქონდეს უფლება გაასხვისოს ქართული მიწები, მათ შორის: მეფეს, პრეზიდენტს თუ პატრიარქს.“²³

ორივე თემაზე ეკლესიის პოზიციას რეზონანსი აქვს, ერთი მხრივ ის ზეგავლენას ახდენს პოლიტიკურ დისკურსზე და მეორე მხრივ ის ხდება ულტარნაციონლისტური, რადიკალური ჯგუფების ლეგიტიმაციის წყარო და თანამოაზრე.

ორი ხელისუფლების, საეროს და სასულიეროს, პოლოტიკის და რელიგიის გამიჯვნის შესახებ ბოლო წლებამდე არ ისმოდა ხმა ეკლესიის შიგნით. ეკლესიის და პატრიარქის საზოგადოებაში (პოლიტიკაშიც) ჩართულობას განაპირობებდა როგორც ეკლესიის სურვილი, ასევე საზოგადოების მხრიდანაც ამის მოლოდინი. პოლიტიკის და რელიგიის გამიჯვნა, „მიეცი კეისარს კეისრისა და ღმერთს ღმრთისა“, არ ისმის ამბიონიდან. საეროსა და სასულიერო სფეროს გამიჯვნაზე საუბარს უფრო სხვა ელემენტი აქვს. 2017 წლის საშობაო ეპისტოლეში პატრიარქი საუბრობს სახელმწიფოზე და საერო კანონებზე, რომ „ზოგიერთი სახელმწიფო კანონი ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს და მცდელობები აქვთ, ცოდვა ოფიციალურად ნებადართული გახადონ. პარალელურად ხდება ისიც, რომ ტელევიზია, მასმედია, სოციალური ქსელები... ამა თუ იმ უწყსობას ხშირად მიმზიდველად და საინტერესოდ გვისახავენ და ხელს უწყობენ მათ პროპაგანდას.“²⁴

ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატურ თემად რჩება ეკლესიის გავლენა პოლიტიკურ სფეროზე, ეკლესიის/რელიგიის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია (მაგ. „წინსაარჩევნო რელიგიურობა“ და მღვდლების მიერ პოლიტიკური ქადაგებები), მაინც შეიძლება ვთქვათ რომ დისკურსი უფრო პლურალისტური გახდა. მაგალითად, დეკანოზი თამაზ ლომიძე საუბრობს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის კრიზისზე, რომ „ამ კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთი გზა არსებობს: უფრო და უფრო უნდა გაძლიერდეს და განმტკიცდეს

²² „ილია II: უცხოელებზე მიწების გასხვისება დარტყმის წინაშე დააყენებს სახელმწიფოს“, *ტაბულა*, 2.07.2014, <http://www.tabula.ge/ge/story/85245-ilia-ii-ucxoelebze-mitsebis-gasxviseba-dartkmis-tsinashe-daakenebs-saxelmtsifos>

²³ „ილია მეორე: არავის არ აქვს უფლება ქართული მიწა გაყიდოს“, *ბანკები და ფინანსები*, 15.05. 2017, <http://bfm.ge/?p=29177>

²⁴ <http://patriarchate.ge/geo/saqartvelos-katolikos-patriarqis-sashobao-epistole/>

თავისუფალი სახელმწიფო, მისი ხელშეუვალი კანონებით და სტრუქტურებით და იმავე დროს, უფრო და უფრო უნდა დასუსტდეს ეკლესია მიწიერად და მატერიალურად და შემცირდეს მისი ამქვეყნიური გავლენა. ნუ ვეცდებით "შევასწოროთ ქრისტეს საქმე", არ ცდება უფალი როცა სახარებაში ამბობს: "ჩემი მეუფება არ არის ამქვეყნიური". უეჭველია და მართალია, რომ რაც უფრო სუსტია ეკლესია მიწიერად, მით უფრო ძლიერია სულიერად. რაც უფრო მეტ მატერიალურ მოვალეობას ჩამოიხსნის ეკლესია, მით მეტ სულიერ მადლს მიიღებს მოძღვრების საქადაგებლად და სახელმწიფოსაც გაუადვილებს თავისუფალი ქვეყნის მშენებლობას. ესაა კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთი გზა ორივესთვის - ეკლესიისთვისაც და სახელმწიფოსთვისაც."

ეკლესია ევროპისა და რუსეთის გზაგასაყარზე

საქართველოს მართმადიდებლური ეკლესიის მიმართ არსებულ მრავალ კითხვათა შორის, ცხოველ ინტერეს იწვევს ეკლესიის დამოკიდებულება ევროპის, რუსეთი, საქართველოს საგერეო პოლიტიკურ ორიენტაციაზე. ეკლესიას ყოველთვის ამბივალენტური დამოკიდებულება ჰქონდა ამ თემების მიმართ: ერთი მხრივ, ევროპული კურსის აღიარება, მეორე მხრივ „საზღვარგარეთიდან დაფინანსებული რელიგიების და არასამთავრობოების“ საშიშროება.

90-იან წლებში ეკლესიის დისკურსში გამაფრებელია დასაველეთის კრიტიკა, რომ „საზღვარგარეთიდან დაფინანსებულ სექტების, არასამთავრობო ორგანიზაციები“ ეწინააღმდეგებიან „ქართულ საქმეს“. ეკლესიის წარმომადგენლები ამ პერიოდში სულ უფრო მეტი იზოლაციონიზმისკენ ისწრაფვიან. ეს ტენდენცია მთავრდება იმით, რომ 1997 წელს სმე ტოვებს მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს. სმე ფაქტობრივად რჩება რუსეთის მართმადიდებლური ეკლესიის იდეოლოგიურ და პოლიტიკურ სივრცეში. მაშინ როდესაც შევარდანანაძის სახელმწიფო პოლიტიკა სულ უფრო გამოკვეთილად ხდება პროევროპული და მიისწრაფვის იმისკენ, რომ შესუსტდეს რუსეთის გავლენა საქართველოზე, სმე მხრიდან რუსეთი და რუსეთის მართმადიდებლური ეკლესია არასოდეს ყოფილა კრიტიკულად შეფასებული.

2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანი ომისა და რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების დაკავების შემდეგ საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური კავშირები შეწყდა. აგვისტოს ომის დროს პატრიარქი გორში ჩავიდა, სასულიერო პირები მონაწილეობას

იღებდნენ ბრძოლის ველიდან დაჭრილების და დაღუპულების გამოყვანაში. მაგრამ ეკლესიის ეს ქმედებები გადაწონა სხვადასხვა ღონისძიებაზე პატრიარქის ვიზიტებმა მოსკოვში.²⁵ პატრიარქის სტუმრად ყოფნა მოსკოვში თავად ეკლესიის და ზოგიერთი პოლიტიკოსის მხრიდან ახსნილი იყო, როგორც მოლაპარაკებების მცდელობა. თუმცა სინამდვილეში ამ ვიზიტებიდან მხოლოდ რუსეთი სარგებლობს. რუსეთის მთავრობამ ამით აჩვენა, რომ ქართველი ხალხისთვის ყველაზე ავტორიტეტული პირი ქართველი პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, პროტესტს არ აცხადებს რუსეთთან ურთიერთებაზე. თუ გავითვალისწინებთ, იმას რომ ეკლესია ყველაზე ხშირად ნაციონალურ საკითხს ეხმიანება და მის დისკურსში ყველაზე მთვარი „ეროვნულობის დაცვა“, რუსეთთან მიმართებაში ეკლესიის პოზიცია ზომიერია და ამ კონტექსტის გათვალისწინებით, ბუნდოვანიც. 2017 წლის იანვარში გავცრელდა ინფორმაცია აფხაზეთში, გულრიფშის რაიონში, რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის მესაზღვრეების მიერ წებელდეს ციხე-სიმაგრის და მიმდებარე სასაფლაოს განადგურების შესახებ. ამ ფაქტს გამოეხმაურა საპატრიარქო და მოუწოდა ყველას, გაერთიანდნენ ციხე-სიმაგრის და სხვა ისტორიული ძეგლების დასაცავად. საპატრიარქოს ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია: „აუცილებლობად მიგვაჩნია, ჩვენმა ხელისუფლებამ გამოძებნოს გზა, რათა იუნესკოს სპეციალისტების საშუალებით განხორციელდეს, როგორც აფხაზეთში, ისე ცხინვალის რეგიონში არსებული ისტორიული ძეგლების მონიტორინგი, რადგანაც ქართველ სპეციალისტებს არ ეძლევათ საშუალება მათი დაცვა-რესტავრაციის.“²⁶ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ქართული ისტორიული ძეგლების დაცვის თემა, საკითხების იმ მცირე რიცხვს მიეკუთვნება, რომელსაც ეკლესია პერიოდულად ეხმიანება რუსეთთან კონტექსტში. რუსეთი როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დამრღვევი იშვიათად ჩანს ეკლესიის დისკურსში. ის რომ ქართული ეკლესიისთვის რუსეთის მართმადიდებლური ეკლესია ერთგვარი „ორიენტირია“, ჩანს სმე რიგ განცხადებებში, ეპისტოლეებში, სადაც უცვლელად არის გადმოტანილი რუსეთის ეკლესიის პოზიცია მაგალითად ადამიანის უფლებების, აბორტის, დემოკრატიის, ლიბერალიზმის შესახებ.

²⁵ 2008 წლის დეკემბერში, ილია მეორე მოსკოვში, რუსეთის პატრიარქ ალექსეი მეორის დაკრძალვაზე ჩავიდა. 2011 წლის ნოემბერში, საქართველოს პატრიარქმა მოსკოვში, კირილე მეორეს 65 წლის იუბილე მიულოცა და პრეზიდენტ მედვედევს შეხვდა. 2013 წლის იანვარში, ილია მეორემ მოსკოვში “მართლმადიდებელ ხალხთა ერთობის ფონდისგან” ჯილდო მიიღო და შემდეგ რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან ჰქონდა აუდიენცია.

²⁶ <http://patriarchate.ge/geo/saqartvelos-sapatrjarqos-gancxadeba-13-01/>

საქართველოს და რუსეთის ეკლესიებს შორის იმაზე მეტი უხილავი ძაფებია, ვიდრე სხვა მართმადიდებლურ ეკლესიებს შორის. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ რუსეთის მართმადიდებლური ეკლესიის ზეგავლენით, 2017 წელს სმე უარი თქვა მართმადიდებლური ეკლესიების მსოფლიო საეკლესიო კრებაზე კრეტაზე მონაწილეობაზე.

პოლიტიკური მოვლენების კვალდაკვალ იცვლება სამღვდლოებაში რუსეთის და ევროპის შესახებ რიტორიკა. სკანდინავიისა და ბალტიის რვიანის წევრი ქვეყანების პარლამენტის თავმჯდომარეებთან შეხვედრაზე პატრიარქმა განაცხადა, „რუსეთმა უნდა გაათავისუფლოს ჩვენი ტერიტორიები. ამიტომ თქვენი ჩამობრძანება საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანია და ჩვენ მადლობას გწირავთ ამისთვის. (...) ჩვენ მადლობას გიძღვრით მხარდაჭერისთვის იმ დროს, როდესაც ძალიან რთულ მდგომარეობაში იმყოფება საქართველო. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ქვეყნის ტერიტორიის 20% დაპყრობილია რუსეთის მიერ.“²⁷

რამდენიმე თვით ადრე საქართველოს პატრიარქმა რუსეთის პატრიარქს 70 წლის იუბილე მიულოცა და რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის სტაბილიზაციის აუცილებლობაზე ისაუბრა: „ჩვენ ვაფასებთ რუსეთის ეკლესიის პოზიციას, რომელმაც არაერთხელ განაცხადა, რომ აღიარებს ამ რეგიონებში საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციას. (...) რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების დარეგულირება ორივე ქვეყნისთვის ფრიად მნიშვნელოვანია; ჩვენ ვჭირდებით ერთმანეთს.“²⁸

ეკლესია აერთიანებს სხვადასხვა ღირებულებების მქონე სასულიერო პირების დიდ სპექტრს: რუსოფილური და ულტრა-რადიკალური შეხედულებებით დაწყებული (მართმადიდებლურ მშობელთა კავშირიში გაერთიანებული მღვდლები) ღიად პროევროპლით დამთავრებული (ასეთ შეიძლება მივიჩნიოთ დასავლეთ ევროპის ეპარქია). მღვდელი დავით ისაკაძე, რომელიც სათავეში უდგას რადიკალურ ჯგუფს „მართმადიდებელ მშობელთა კავშირი“, ადამინის უფლებების დაცვას, დემოკრატიაზე საუბარს „ბრიუსელის დიქტატს“ უწოდებს. მისი აზრით, „უკვე გვაიძულებენ, სხვადასხვა ქვეყნიდან საქართველოში მიგრანტები და ლტოლვილები შემოვუშვათ. გამოდის, ევროპა ვიზა-ლიბერალიზაციას იმიტომ გვაძლევს, ჩვენს ქვეყანაში ათასი ჯურის გადამთიელი შემოიყვანოს და ფიზიკურადაც გადაგვაგვაროს! ცოტა ხანში საქართველოში ქართველები უმცირესობაში აღმოვჩნდებით!“

²⁷ <http://ltv.ge/ge/news/view/154190.html>

²⁸ „ილია II: რუსეთმა უნდა გაათავისუფლოს ჩვენი ტერიტორიები“, 22.03. 2017, <http://liberali.ge/news/view/28330/ilia-II--rusetma-unda-gaatavisuflos-chveni-teritoriebi>

ყველა ადამიანი ვინც ამ პროცესს აღუდგება, მას პატრიოტად მიაჩნია. მისივე თქმით, „ბრიუსელის მსტოვრები“ ასეთ ადამიანს რუსეთიდან მართულის იარღიეს აკრავენ“.²⁹

ამ ტენდენციის მეორე მხარეა ეკლესიის ოფიციალური განცხადებები. 2017 წლის 3 თებერვალს ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის კანონის მიღებას მართმადიდებლური ეკლესია ოფიციალურად მიესალმა.³⁰ ისტორიული მოვლენა უწოდა და ეს თარითი მრევლს მიულოცა დასავლეთ ევროპის ეპარქიამ თავის ფეისბუკ-გვერდზე: „VISAFREE, გილოცავთ!“.

2017 წელს ოფიციალური განცხადებები ნაკლებად ორაზროვანია და ის ემთხვევა ქვეყანაში მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებს. მაგალითად, კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორე გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლეს კომისარ შტეფან ფულესთან შეხვედრისა განცხადდა, რომ საქართველოს ეკლესია ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ქვეყნის ევროინტეგრაციის იდეა განხორციელდეს.³¹ გარდა ამისა, 2016 წლის ნოემბერში საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლები გაცნობითი ხასიათის ვიზიტით იმყოფებოდნენ ბირუსლემში ნატოს შტაბ-ბინაში. საპატრიარქოს ოფიციალურ გვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, უამღლესი სასულიერო იერარქებები აღნიშნვევენ: „ამასთან, აღმოჩნდა, რომ ნატოშიც და ევროსტრუქტურებშიც არასწორი ინფორმაცია ქონდათ საქართველოს ეკლესიის შესახებ და ჩვენც არასწორი წარმოდგენა გვქონდა მათ პოლიტიკასთან მიმართებაში რიგ თემებთან დაკავშირებით.“ არასწორ წარმოდგენაში იგულისხმებოდა, რომ დღევანდელი პრაქტიკა, რომ სკოლებში არ არის რელიგია სავალდებულო საგანი, მიჩნეული იყოს ევროინტეგრაციის აუცილებელ პირობად. სამღვდლოება გაეცნო ვიზიტის დროს, რომ ამ საკითხისადმი მარავლფეროვანი მიდგომა არსებობს ევროპის ქვეყნებში. ³² ნატოში ეკლესიის წარმომადგენლის ვიზიტზე და თავის

²⁹ <http://qartuliazri.ge/inside.php?menuid=68&id=5317>

³⁰ საპატრიარქოს განცხადება 3.02.2017, <http://patriarchate.ge/geo/sapatriarqos-gancxadeba/>

³¹ კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორე გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლეს კომისარ შტეფან ფულესთან შეხვედრისა განცხადდა, რომ საქართველოს ეკლესია ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ქვეყნის ევროინტეგრაციის იდეა განხორციელდეს., „პატრიარქი: ‘ეკლესია ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ საქართველო ევროკავშირის წევრი გახდეს’, *Civil Georgia*, 05.03.2014, <http://www.civil.ge/geo/article.php?id=27927>

³² განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ „საქართველოში, როგორც ცნობილია, გარკვეული ძალები ეწინააღმდეგებიან ოჯახის, როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობის განმსაზღვრელი პუნქტის ჩაწერას კონსტიტუციაში, იმ მოტივით, თითქოს ეს ევროინტეგრაციის პროცესს შეუშლის ხელს.“ <http://patriarchate.ge/geo/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1->

შთაბეჭდილებებზე სოციალურ ქსელში წერს, დელეგაციის ერთ-ერთი წევრი არქიმანდრიტი იოვანე მჭედლიშვილი და ამბობს, რომ საქართველოს აქვს ევროპული მომავალი.

რუსეთის თემაზე მსჯელობისას გამოიკვეთა ახალი ხაზი საკელესიო დიკსურსში: ოკუპაციაზე ღიად საუბარი და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის იმ ისტორიული ფაქტების გახსნება, რაც აბათილებს „ერთმორწმუნე ძმის“ კეთილ ზრახვებს. ამ თემატიკის აქტუალიზაცია, როგორც წესი, ემთხვევა რამდენიმდე თარიღს: 26 მაისს, 25 თებერვალს, 8 აგვისტოს. 26 მაისს დამოუკიდებლობის დღეს მოსახლეობას ულოცავს თითქმის ყველა ეპარქია, ზოგიერთი სასულიერო პირი სოციალურ ქსელში ვრცლად ეხმიანება ამ თემას: „როგორც აღდგომა აღინიშნება სარწმუნოებაში, ისევე უნდა აღინიშნებოდეს 26 მაისი- საქართველოს დამოუკიდებლობის დღე საერო დღესასწაულებს შორის. ისე ღრმად, გააზრებულად, ყოვლისმომცველად და საყოველთოდ უნდა ვდღესასწაულობდეთ ამ დღეს, ისე ღრმად უნდა აღიბეჭდოს მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით ახალგარდების და ბავშვების გონებაში, რომ ვერავინ, ვერასდროს ვეღარ შეძლოს საქართველოს თავისუფლების ხელყოფა და მისი ღალატი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია! ღმერთმა დალოცოს საქართველოს თავისუფლება!“ (მღვდელი თამაზ ლიმიძე, მიუნჰენის ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძარი)

ახალი ტენდენცია გამოიკვეთა, რომ ეროვნულ დღესასწაულებზე სასულიერო პირები იხსნებენ პატრიარქ ამბროსი ხელაიას ისტორიას.³³ „გილოცავთ ჩვენი მრავალტანჯული საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს! ეს დღე სიმბოლოა საქართველოს გამარჯვებისა რუსეთის იმპერიულ პოლიტიკაზე, ჩვენი ერის 200 წლოვანი რუსული ჩექმის მონობიდან გათავისუფლებისა! გაუმარჯოს დამოუკიდებელ, ერთიან და ძლიერ საქართველოს!“ 2017 წლის მაისში მღვდელმა ილია ჭილაძემ სოციალ ქსელში გააკრიტიკა საქართველოში მოსკოვის ყოფილი მერის "ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" კანონის არაერთგზის დამრღვევი იური ლუქკოვის ჩამოსვლა. მან ასევე უარყოფითად შეაფასა ქანდის

[%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A5-2/](#)

³³ 1923 წლის იანვარში კათალიკოს-პატრიარქი და საკათალიკოსო საბჭოს ყველა წევრი დააპატიმრეს, გაასამართლეს (1924 წლის 10-19 მარტს). დაპატიმრების მიზეზი იყო, რომ პატრიარქმა გენუის საერტაშორისო კონფერენციაზე მემორანდუმში გააგზავნა. ეს იყო იყო პატრიარქის მცდელობა საეთაშორისო ყურადღება მოემართა საქართველოსკენ. ამ წერილში იგი გამოხატა საქართველოს ძალდატანებით გასაბჭოება საერთაშორისო მასშტაბით და სამართლიანობის აღდგენას მოითხოვა. 1925 წლის დასაწყისში ამნისტიის წესით ყველა გაათავისუფლეს. დაპატიმრების

ეკლესიის წინამძღვარის მამა სერაფიმეს მიერ ლუჰკოვის მიღება. არქიმანდრიტი დემეტრე თეთრუაშვილმაც გააკრიტიკა ყველა ის მღვდელი, ვინც იური ლუჰკოვს შეხვდა: იღვწის ფაქტს: ანაფორაში წაგრაგნა ვერ ფარავს ზრახვებს. როგორი სიყვარულით ხვდება ღრუსს - იმას, ვინც შვილები, ძმები, დები დაუხოცა, ვინც ქვეყანა დაუნაწევრა”.³⁴

ამ თემებზე გამორჩეულად საუბრობენ დასავლეთ ევროპის ეპარქიის სასულიერო პირები. სამღვდელოების ამ ნაწილში ხშირად ისმის .რუსეთის პოლიტიკის მიმართ ღია კრიტიკა, ლიბერალიზმის, დემოკრატიის და რელიგიის ურთიერთდაპირისპირების „ცრუ შიშებზე“.

დასკვნა

საქართველოს დამოუკიდებლობიდან დღემდე საზოგადოებაში მკვეთრი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცვლილები მიმდინარეობს. ამ ფონზე არ ჩანს, რომ ეკლესია დროის ამ ცვლილებას, საზოგადოებრივ საჭიროებებზე რეაგირებს. ეკლესიის შიგნით არსებული პრობლემები (სტრუქტურული, იდეოლოგიური დაპირისპირებები), საერო სფეროში იდეოლოგიური მონოპოლიისკენ სწრაფვა და პოლიტიკურ სფეროზე გავლენის, ფინანსური პრივილეგიების პრეზლემატიკა, ისევ დღის წესრიგშია. მართალია, 90-იანი წლების აგრესიული რელიგიური რადიკალიზმისგან განსხვავებულია დღევანდელი ეკლესიის დისკურსი, მაგრამ ეკლესიის ამბივალენტური ან არაერთმნიშვნელოვანი განცხადებები საზოგადოებაში ადვილად ხდება რადიკალური და პოპულისტური შეხედულებების წყარო. ბოლო პერიორდში გაიზარდა ქსენოფობიური განწყობები და ულტრანაციონალისტური ჯგუფების მობილიზება. ასეთ კონტექსტში პატრიარქის სიტყვები „რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ ავუკრძალავთ ჩამოსვლას, მაგრამ სტუმარმა თავისი ადგილი უნდა იცოდეს და მასპინძელმა-თავისი“,³⁵ სწრაფად გავრცელდა რადიკალურ ნაციონალისტურ ჯგუფებში და ადვილად გახდა რადიკალური იდეების ლეგიტიმაციის წყარო.

სმე-თვის ჯერ კიდევ პრობლემატური საკითხებია: რელიგიის თავისუფლების აღიარება და სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთგამიჯვნა, ეკლესიის რელიგიური ნაციონალიზმის გადალახვა. რელიგიის თავისიფლების აღიარებასთან წინააღმდეგობაში მოდის ეკლესიის

³⁴ <http://www.tabula.ge/ge/verbatim/119979-arqimandriti-demetre-luzhkovis-mighebaze-am-patara-ers-ramdeni-moghalate-hkavs>

³⁵ „ილია მეორე: სტუმარმა თავისი ადგილი უნდა იცოდეს, მასპინძელმა – თავისი“, *ნეტგაზეთი*, 28.09.2017, <http://netgazeti.ge/news/222792/>

არაპირდაპირი მართვა რელიგიური სკიოხების. ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის მოწინააღმდეგეები ხშირად რელიგიური მოტივაცია და მორწმუნეებისთვის ცნობილია სმე პოზიცია, რომ იგი ეწინააღმდეგება მეჩეთის აშენებას.

გარდა რელიგიის თავისუფლებისა, 2017 წელს ყურადღების ცენტრში მოექცა ეკლესიის პოზიცია ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მიმართ, კერძოდ, პატრიაქრის შეხედულება ოჯახში ქალსა და მამაკაცს შორის იერარქიულობაზე. ეს საკითხი თავისმხრივ დაჯკავშრებული ეკლესიის ჰომოსექსუალიზმის მიმართ დამოკიდებულებასთან. ოჯახის, ქალის უფლებების შესახებ საუბარი ყოველთვის აქტულაური ხდება ხოლმე 17 მაისს.

სმე უფრო არის სეკულარული ინსტიტუცია, რომელიც საკუთარი ავტორიტეტის და სტაბილურობოს შენარჩუნებას ცდილობს და არ იყენებს მის მიმართ არსებულ მაღალი ნდობას და სიმბოლური კაპიტალს, საზოგადოების კონსოლიდაციისკენ.

სახელწმიფოსთან ურთიერთობის მოდელი პრაგმატული ხასიათისაა. ეკლესიის და პოლიტიკური ლიდერების „დაახლოება“ ორივე მხარისთვის საკუთარი ძალაუფლების და ფინანსური კეთილდღოების გამყარების საშუალებაა. ურთიერთლოილაობას ამყარებს, ეკლესიის ფორმალური და არაფორმალური დაფინანსება (საბიუჯეტო დაფინანსება, სახელმწიფო ფონებიდან თანხის გამოყოფა, ქონების და მიწის სიმბოლურ ფასად გადაცემა) და ეკლესიის მხრიდან პოლიტიკური ელიტის მხარდაჭერა.

რუსეთის ხელისუფლებას და რუსეთის მართმადიდებლურ ეკლესიას მუდმივი „პარტნიორი“ ჰყავს საქართველოში. ეს მჭიდრო პოლიტიკური, ინსტიტუციური ურთიერთობა ხელს უწყობს რუსეთის „რბილი ძალის“ გავრცელებას და ეკლესიისთვის კი ეს ნიშნავს მსოფლმეხველობრივ ჩაკეტილობას. რაც გრძლევადინად სმე თეოლოგიურ და ინსტიტუიურ განვითარებას უშლის ხელს. თუ გასულ წლებში რუსეთთან ურთიერთობის, საქართველოს ევროპაში ინტეგარციის თემაზე საზოგადოებამ მხოლოდ პატრიაქრის აზრი იცოდა, დღეს სხვა სასულიერო პირების შეხედულებებიც არის ცნობილი. როგორც წესი ეს შეხედულებები სმე პოზიციასთან თანხვედრაშია, მაგრამ მაინც გამოიკვეთა ტენდენცია რუსეთის შესახებ როგორც ოკუპანტზე საუბარი გარკვეულ სასულიერო პირებში. ზოგიერთი მათგანი ცდილობს, რომ გააბათილოს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის კონტექსტში „ერთმორწმუნეობის“ მართებულობა.

ამრიგად, საინფორმაციო ტექნოლოგიების და ინტერნეტ-საზოგადოების განვითარების შედეგად, საეკლესიო დიკსურსის შექმნაში სხვადასხვა იერაქრის სამღვდელოებაც არის ჩართული. ამის მიზეზი მხოლოდ ტექნოლოგიები არ არის, თუმცა ინტერნეტი გახდა

პლატფორმა სადაც საყოველთაოდ გავრცელებული აზრისგან განსხვავებული შეხედულებას ადვილად ამჟღავნებენ. შედეგად ინტერნეტში რელიგიის თემაზე მსჯელობა უფრო პლურალისტური და ღიაა.

განსხვავებული პოზიციების გამოჩენა, განსაკუთრებით ეს ეხება დასავლეთ ევსროპის ეპარქიას, საეკლესიო დიკსურში შეიძლება იყოს მაჩვენებელი იმისა, რომ ეკლესია ვეღარ არხდენს ისეთ ტოტალურ კონტროლს, როგორც ადრე. აქამდე არსებული სისტემა ვერ უძლებს საზოგადოების მზარდ კრიტიკას და „უშვებს გამონაკლისს“. ზოგიერთი სასულიერო პირის მიერ თანამედროვე გამოწვევები მიღება შეიძლება იყოს „თავის გადარჩენა“, „დროისთვის ფეხის აწყობა“ ან ეს შეიძლება იყოს ეკლესიის როლის, ქრისტიანობის ახალი გააზრების მცდელობა. ფაქტია, რომ შიგნიდან ეკლესიის სტრუქტურა, რომლის მდგრადობა ტაბუზე და ავტორიტეტზე იყო დაფუძნებული ლეგიტიმაციის კრიზისშია. რამდენად ამის მაჩვენებელია დღეს საეკლესიო დიკსურსში მცირე ცვლილებები, ეს მომავალში გამოჩნდება.